განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

3 ნოემბერი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
28 ნოემბერი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206169304
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული 09/09/2011 #10

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი მანველიძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დარბაიძე, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგი გიოშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული, შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2011 წლიდან. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მიზნებიდან გამომდინარე მოაზრებულია როგორც ფართო განათლების მიმცემი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, რომელიც უპასუხებს თანამედროვე გამოწვევებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში და ამასთანავე, ითვალისწინებს დარგის მიღწევებს. პროგრამის კურიკულუმი აგებულია თეორიული ცოდნის მიწოდება-მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების სინთეზის პრინციპით. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დღეს არის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც აკრედიტაციის ვადა ეწურება 2021 წლის 31 დეკემბერს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა საჭიროდ ჩათვალა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით, შეექმნა პროგრამის განვითარების კომისია, რომელმაც მუშაობა დაასრულა 2020 წლის ბოლოს და მასალები გადასცა უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე შექმნილ თვითშეფასების ჯგუფს. როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლამ აჩვენა რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია პრინციპით - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები და თავისუფალი კომპონენტები, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი კვალიფიკაციის მისაღებად. პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი, 8 სემესტრი. წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება 44 აკადემიური პერსონალი (მათ შორის, 8 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტი და 22 მოწვეული პერსონალი (პროგრამის სწავლებაში ჩართული 6 უცხოელი მოწვეული პერსონალი მათ შორის 3 სასწავლო და 3 კვლევით პროცესებში). თითოეული მათგანის კვალიფიკაცია რელევანტურია აღნიშნული დარგისთვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში შედგა 2021 წლის 3 ნოემბერს გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა შემდეგ ჯგუფებთან/ადამიანებთან: - უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი - პროგრამის ხელმძღვანელი - ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის ხელმძღვანელები - პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი - პროგრამის სტუდენტები - პროგრამის კურსდამთავრებულები - დამსაქმებლები.

გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირებას.

დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა 10.00-დან 18.30 საათამდე.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1; 2.2; 2.3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4; 2.5; 2.6 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2; 4.3; 4.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1; 5.3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, სწავლის შედეგები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მოდიფიცირდეს სამიზნე ნიშნულები და განისაზღვროს გაზომვადი ინდიკატორები.
2. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა ითვალისწინებდეს ინგლისური ენის სათანადო დონეზე ცოდნას ანდა პროგრამაში ინგლისური ენის არ მცოდნე სტუდენტებისთვის შეთავაზებულ იქნეს ენის შესწავლის დამწყები სასწავლო კურსები და არა პირდაპირ ინგლისური ენა (B1+) დონის სასწავლო კურსი.
3. პროგრამის სასწავლის შედეგების უკეთ მიღწევისა და გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია, „საბაკალავრო ნაშრომი“ გახდეს სავალდებულო კომპონენტი;
4. ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებისთვის (1.Introduction to Foreign Policy Analysis; 2.English composition: expository writing; 3.Energy Security and Energy Policy; 4.English composition: persuasive writing; 5.US Economic System; 6.Practice of International Organisations in respect of Georgia; 7.Socio-Cultural Meaning of the Holocaust (English); 8.Theories of Culture ; 9.Sociology of City წინაპირობად მინიმუმ განისაზღვროს სასწავლო კურსი ინგლისური ენა (B2-II).

5. სასწავლო კურსი “კონფლიქტი, მშვიდობა და უსაფრთხოება” განისაზღვროს სასწავლო კურსის “საქართველოში არსებული კონფლიქტების ანალიზის” წინაპირობად;

6. სასწავლო კურსი “ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა”, გახდეს სასწავლო კურსის “კონფლიქტი, მშვიდობა და უსაფრთხოების” წინაპირობა.

7. სასწავლო კურსი “საერთაშორისო ურთიერთობების თეორია” გადავიდეს მე-2 სემესტრის შემდგომ რომელიმე სემესტრში.

8. სასწავლო კურსის ,,კლასიკური პოლიტიკური თეორიები“ სილაბუსში, რომლის შინაარსი ერთგვარი ჰიბრიდია პოლიტიკური აზრის ისტორიის და პოლიტიკური ფილოსოფიის, სათაური შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან.

9. სასწავლო კურსის - „თანამედროვეობის ისტორიის “ სილაბუსში, კურსის სათაური, კურსის მიზანი, სწავლის შედეგი და კურსის თემატიკა თანხვედრაში მოვიდეს ერთმანეთთან.

10. სასწავლო კურსის ,,თანამედროვე პოლიტიკური თეორიები“ სილაბუსში საბაკალავრო დონის სწავლების შესაბამისი ლიტერატურის მითითება.

11. სასწავლო კურსის ,,კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ სილაბუსში სწავლის შედეგების რეფორმულირება საბაკალავრო დონის შესაბამისად.

12. რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველ სემესტრულ დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია პერსონალის დატვირთვის შესახებ ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული.

13. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის განხორციელებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. აღნიშნული მიმართულებით ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები.

14. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, უნდა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმების (განსაკუთრებით, შრომის ბაზრის კვლევისა და უცხოური ანალოგიური პროგრამების დადარების შედეგების პროგრამის განვითარების პროცესში ასახვის საკითხი), პროცედურებისა და აღნიშნული ღონისძიებებით განხორციელებული შედეგების გამოყენებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული რეკომენდაციების აღმოფხვრა შესაძლებელია ექვსი თვიდან ერთი წლის შუალედში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და მიზნობრივად საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორციელება, რომ უკეთ გამოიკვეთოს დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნილებები.

2. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მკაფიო განზოგადების და აკუმულირებული ფორმით წარმოდგენა, რაც მის გაზომვადობას მკაფიოდ უზრუნველყოფს.

3. სასურველია მოხდეს სწავლის მერვე, მეცხრე და მეათე შედეგების, რომელიც ეხება ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას აკუმილირებული სახით ფორმულირება.

4. სასურველია,პროგრამის ძირითად სავალდებულო სასწავლო კურსებში გაიზარდოს დიპლომატიის წილი.

5. სასურველია სტუდენტთა მხარდამჭერი ისეთი მხარდამჭერი სისტემების, როგორიცაა შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის, სტიმულირება;

6. სასურველი იქნება უფრო მეტი მემორანდუმის გაფორმება და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება ქვეყანაში მოქმედ შესაბამის საჯარო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან პრაქტიკის განსახორციელებლად;

7. სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებში პერსონალის კიდევ უფრო აქტიურად ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

8. სასურველია, „საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდეს უშუალოდ პროგრამული დონის ბიუჯეტი, რათა შემცირებული სტუდენტური კონტინგენტის პირობებში პროგრამის ფინანსური მდგრადობა მეტად თვალსაჩინო გახდეს.

9. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ეფექტიანი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. მისასალმებელია, მრავალფეროვანი სწავლება-სწავლის მეთოდები და თეორიულ სასწავლო კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკული აქტივობები.

2. მისასალმებელია ის სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა აიღო დისტანციურ რეჟიმში სტუდენტების დახმარებისა და მათი მხარდაჭერის კუთხით, რომლის ფარგლებშიც მოხდა შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტებში ელექტრონულ მხარდამჭერ რესურსებსა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მოსაზრებები უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნოს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ,,არგუმენტირებულ პოზიციას“, და მიიჩნია, რომ იმდენად რამდენადაც დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ მოსაზრებები, რაც არ იყოს გამყარებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემობებით და არგუმენტაციით, ექსპერტთა ჯგუფმა უცვლელად დატოვა საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების დასკვნა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის და საბაკალავრო პროგრამის მიზნების მიხედვით შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება ფართო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რომელიც მას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პროფესიული და კარიერული წინსვლის და/ან მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს. ამავე დროს, პროგრამის მიზანი ასახავს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა ის მიმართული, და აქედან გამომდინარე ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის, ასევე საზოგადოების განვითარებაში, რაც პასუხობს უნივერსიტეტის მისიას. თუმცა, პროგრამის მიზნები ძირითადად მოცემულია არააკუმულირებული ფორმით და უფრო წარმოდგენილია კონკრეტული სავალდებულო სასწავლო კურსების მიზნების მიხედვით. ასევე, შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტების შესწავლამ გამოავლინა, რომ ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთა მოთხოვნის წარმოდგენილი ანალიზი სუსტად აჩვენებს საერთაშორისო ურთიერთობების ფართო ცოდნის მიმართულებით პროგრამის მნიშვნელობას და საჭიროებას, რადგან არ ჩანს მკაფიოდ შრომის ბაზრის მოთხოვნილება დარგობრივი კომპეტენციების საჭიროების მიმართულებით. აღნიშნულ დოკუმენტში სუსტად ჩანს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის საჭიროება და მნიშვნელობა დამსაქმებლებისათვის. გასაუბრებამ აჩვენა, რომ რეაკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამა გაზიარებულია აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულების მიერ. შესაბამისად, სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და მიზნობრივად საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორციელება, რომ უკეთ გამოიკვეთოს დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნილებები. ასევე, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მკაფიო განზოგადების და აკუმულირებული ფორმით წარმოდგენა, რაც მის გაზომვადობას მკაფიოდ უზრუნველყოფს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; – უნივერსიტეტის მისია; – შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი;

- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- პროგრამა/კურიკულუმი;
- საგანმანათლებლო პროგრამის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და მიზნობრივად საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორციელება, რომ უკეთ გამოიკვეთოს დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნილებები.
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მკაფიო განზოგადების და აკუმულირებული ფორმით წარმოდგენა, რაც მის გაზომვადობას მკაფიოდ უზრუნველყოფს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც სტუდენტს ექნება პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით პროგრამის მიზნები დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი მეტწილად შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს. კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა სავალდებულო სასწავლო კურსს თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით წვლილი შეაქვს პროგრამის დასახული მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევაში.

პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლამ აჩვენა რომ პროგრამის სწავლის შედეგად განისაზღვრა ათი შედეგი, რომლებიც ძირითადად თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად პასუხობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და ის ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. კერძოდ:

<u>1.აღწერს:</u>

· საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებსა და კონცეფციებს;
· პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ, საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ, ისტორიულ და კულტურულ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე;
· დიპლომატიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითად ასპექტებს;
· გლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვან პრობლემებს;
· მმართველობისა და პოლიტიკის ძირითად პრინციპებს;
· სახელმწიფოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ორგანიზაციის ძირითადი ფორმებს;
· ეროვნულ, რეგიონულ, საერთაშორისო და გლობალურ დონეზე არსებულ გარემოსდაცვით პოლიტიკას, გამოწვევებს და მათი მოგვარების არსებული საშუალებებსა და ინსტრუმენტებს;
· გლობალური, ეროვნული და ლოკალური უსაფრთხოების პრობლემებს და გადაწყვეტის თანამედროვე ტენდენციებს;
2. განმარტავს სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდებს;
3. განსაზღვრავს ახალ მსოფლიო წესრიგში სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ინტეგრაციული წარმონაქმნების როლსა და დანიშნულებას; თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში საქართველოს ადგილს;
4. ახორციელებს საერთაშორისო აქტორების ქცევის ინტერპრეტაციასა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შეფასებას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ეფექტურად გამოყენების მეშვეობით;
5. აანალიზებს გლობალურ და ეროვნულ პოლიტიკას; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში შეიმუშავებს აღწერილობით, კრიტიკულ, არგუმენტირებულ და ანალიტიკურ დოკუმენტებს;
6. ფართო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ახდენს გლობალურ საკითხებთან, პოლიტიკასთან, პროცესებსა და ტენდენციებთან დაკავშირებით, ინტერდისციპლინარული ცოდნისა და კრიტიკული აზროვნების დემონსტრირებას წერილობითი და ზეპირი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ; ეფექტურად იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
7. მოიძიებს ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე (ეფექტურად იყენებს მეორე უცხო ენასაც), აყალიბებს დასკვნებს პროფესიისთვის დამახასიათებელი სოციალური და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით. ქმნის კვლევით ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
8. აფასებს საკუთარ და სხვების შესაძლებლობებს, უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმარებისა და განხორციელების გზით ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს. თვალს ადევნებს მეცნიერულ სიახლეებს და ახდენს ცოდნის მუდმივად განახლებას;
9. აქვს ორგანიზაციული უნარი, შეუძლია მიიღოს და განახორციელოს ინიციატივა, აიღოს მასზე პასუხისმგებლობა;
10. ცნობს პროფესიული ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული ფასეულობების, სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

პროგრამის 10 სწავლის შედეგიდან, საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის მიხედვით, **პირველი სამი ასახავს** ცოდნა-გაცნობიერებას, **მეოთხე** სწავლის შედეგი ასახავს ცოდნა-გაცნობიერებას და უნარს კომბინირებულად. **მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე** შედეგი ასახავს უნარებს, **მერვე, მეცხრე და მეათე** სწავლის შედეგი ასახავს პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. მიუხედავად იმის რომ სწავლის შედეგები მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, მათი შესწავლა და ანალიზი ავლენს გარკვეულ კითხვებს. კერძოდ, შეიმჩნევა წინადადების შინარსობრივი ფორმულირების სიცხადის სირთულე, მაგალითად, სწავლის მე-5 შედეგი ,,აანალიზებს გლობალურ და ეროვნულ პოლიტიკას; საერთაშორისო

ურთიერთობების სფეროში შეიმუშავებს აღწერილობით, კრიტიკულ, არგუმენტირებულ და ანალიტიკურ დოკუმენტებს;“ მე-6 სწავლის შედეგში ახდენს „...კრიტიკული აზროვნების დემონსტრირებას...“ კრიტიკული დოკუმენტის შემუშავებას კრიტიკული აზროვნების უნარი სჭირდება, ხოლო კრიტიკული აზროვნება სწავლების მაგისტრატურის შედეგია. ასევე უნდა აღნიშნოს, რომ პროგრამა რომელიც სტუდენტს არ სთავაზობს სავალდებულო სასწავლო კურსად საბაკალავრო ნაშრომს და პროფესიულ პრაქტიკას პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის მიმართულებით აყალიბებდეს სამ სწავლის (მერვე, მეცხრე, მეათე) შედეგს, ართულებს მათ მიღწევადობას. ასევე სწავლის შედეგებში მე-6 და მე-7 შედეგი მეტად ასახვას კომუნიკაციის უნარს. პროგრამის სწავლის შედეგების ამგვარი დაჯგუფება, გაართულებს მათ რეალურ გაზომვადობას. მართალია, პროგრამაში არის სწავლის შედეგების მიხედვით <u>შესაბამისი ზოგადი/პირობითი სამიზნე ნიშნულები გაწერილი, მაგრამ სწავლის შედეგების შეფასება აღნიშნული ნიშნულებით გაჭირდება,</u> ვინაიდან სწავლის შედეგებში ვლინდება შინაარსობრივი აგებულების ზედაპირულობა (შედეგი 5), შინაარსობრივად ცოდნა-გაცნობიერების და უნარების კომბინირებულად წარმოდგენა (შედეგი 5), სწავლების სამაგისტრო დონის შესაფერი შედეგებით ფორმულირება (შედეგი 5 და შედეგი 6). აქედან გამომდინარე რეკომენდებულია, სწავლის შედეგები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი. ასევე სასურველია მოხდეს სწავლის მერვე, მეცხრე დს მეთაე შედეგების, რომელიც ეხება ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას აკუმილირებული სახით ფორმულირება.

თვითშეფასების ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის, ასევე პროგრამის კურიკულუმის და სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის შედეგების გაუმჯობესება ხდება აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლის, პროგრამის კურსდამთავრებულების და სტუდენტების კვლევისა და მათ მიერ გაკეთებული შეფასების საფუძველზე. სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რომელიც კვლევის შედეგებიდან გამომდინარე პროგრამის გაუმჯობესების რეკომენდაციებს წარუდგენს სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატის საბჭოსა და პროგრამის განმავითარებელ კომისიას, რომელიც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. როგორც გასაუბრების დროს დადგინდა, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება დადგენილი მეთოდოლოგიით. პროგრამის შედეგების მიღწევის, ასევე შინაარსობრივი მხარისა და შეფასების მექანიზმების ეფექტურობის შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს. როგორც საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტიდან ჩანს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასება მოხდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. არაპირდაპირი შეფასების მეთოდი მოიაზრებს დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვას, კურიკულუმის ანალიზსა და სხვა. კითხვარების თავმოყრა და ანალიზი განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომელიც რეკომენდაციებს წარუდგენს საბჭოს და კომსიას.

როგორც ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს პროგრამის გაუმჯობესებისთვის დაგეგმილია პროგრამის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი. კერძოდ, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. პირველ ეტაპზე, მოხდება შედეგების ანალიზი, მათი სამიზნე ნიშნულებთან დადარება და სწავლის შედეგების მიღწევადობის ხარისხის გამორკვევა. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების შედეგად გამოვლენილია სუსტად მიღწევადი სწავლის შედეგები, მოხდება პროგრამის და/ან სასწავლო კომპონენტების ცვლილების

ინიცირება სპეციფიკური ცოდნისა და კომპეტენციების გამომუშავების აქცენტირების მიზნით. შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვებისა და მათზე დაკვირვების შედეგად მოხდება რეაგირება სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის ნორმალური დიაპაზონის დარღვევის შემთხვევაში. შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში, მის წინაპირობებში, სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში, შეიძლება დაემატოს ან ამოღებულ იქნას სასწავლო კურს(ებ)ი, ცვლილებები შევიდეს სტუდენტების საკონსულტაციო სერვისებში, პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმსა და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი; – საგანმანათლებლო პროგრამა; – შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი; – პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; – ინტერვიუს შედეგები; – თვითშეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, სწავლის შედეგები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მოდიფიცირდეს სამიზნე ნიშნულები და განისაზღვროს გაზომვადი ინდიკატორები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია მოხდეს სწავლის მერვე, მეცხრე და მეათე შედეგების, რომელიც ეხება ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას აკუმილირებული სახით ფორმულირება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან	X			

პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის, თვითშეფასების დოკუმენტების მიხედვით და საგუბრებით დადასტურდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მკაფიოდ არის ფორმულირებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც სხვადასხვა პირობას მოიცავს. კერძოდ: პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამა და შესაბამისად პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე პროგრამა აბიტურიენტებს სთავაზობს უცხო ენის გამოცდის ჩაბარებას გერმანულ, რუსულ, ფრანგულ ანდა ინგლისურ ენაში - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი არის მაქსიმალური ქულის მინიმუმ 20%-ზე მეტი ქულის მოპოვება, ამასთან საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმითა და სასწავლო გეგმით სავალდებულო კურსის სახით სტუდენტს პირველივე სემესტრში უწევს ისწავლოს ინგლისური ენა (B1+) დონიდან, რაც ვერ იქნება დაძლევადი იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სხვა ენა (ფრანგული, გერმანული, რუსული) ჩააბარა ან ან ინგლისურ ენაში მიიღო დაბალი შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, კი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფდეს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე

სასწავლებლად ჩართვას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან. შესაბამისად, რეკომენდებულია, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა ითვალისწინებდეს ინგლისური ენის სათანადო დონეზე ცოდნას ანდა პროგრამაში ინგლისური ენის არ მცოდნე სტუდენტებისთვის შეთავაზებულ იქნეს ენის შესწავლის დამწყები სასწავლო კურსები და არა პირდაპირ ინგლისური ენა (B1+) დონის სასწავლო კურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – თვითშეფასების ანგარიში; – საგანმანათლებლო პროგრამა; – ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა ითვალისწინებდეს ინგლისური ენის სათანადო დონეზე ცოდნას ანდა პროგრამაში ინგლისური ენის არ მცოდნე სტუდენტებისთვის შეთავაზებულ იქნეს ენის შესწავლის დამწყები სასწავლო კურსები და არა პირდაპირ ინგლისური ენა (B1+) დონის სასწავლო კურსი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის, დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის და ევროპული კრედიტების ტრანსფერების სისტემის შესაბამისად. თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის მიხედვით შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შესწავლამ აჩვენა რომ პროგრამის შინაარსი მეტწილად ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს (იხ. კომპონენტი 2,1). გასაუბრებამ აჩვენა რომ პროგრამის საწყის ეტაპზე სტუდენტები ეცნობიან საგნებს, რომლებიც უზრუნველყოფს უფრო მეტად სწავლის შედეგების გაცნობით დონეზე გაყვანას, შემდგომ ეტაპზე სტუდენტები ეცნობიან საგნებს, რომლებიც ორიენტირებულია სწავლის

შედეგების გაღრმავებაზე, ხოლო პროგრამის დასკვნით ეტაპზე წარმოდგენილი სავალდებულო კომპონენტები ხელს უწყობენ სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცებას. შესაბამისად პირველი ოთხი სემესტრი უმეტესწილად ემსახურება დარგის და ასევე, მისი ინტერდისციპლინარული ბუნებიდან გამომდინარე, მისი მომიჯნავე დისციპლინების თეორიული საფუძვლების გაცნობას, ასევე დარგის ისტორიის გაცნობას. მეოთხე სემესტრიდან იწყება და მეხუთე-მერვე სემესტრებში ინტენსიურად გრძელდება დარგის ძირითადი საკითხების, აქტორების, მიმდინარე პროცესებისა და გამოწვევების შესწავლა.

პროგრამის სტრუქტურის შესწავლამ და გასაუბრებამ აჩვენა საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა ოთხწლიანია და შედგება რვა სემესტრისგან. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი.საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (130 ECTS), ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი (40 ECTS), თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (18 ECTS), სავალდებულო უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი (30 ECTS), მეორე უცხოური (გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური, თურქული) ენის კომპონენტი (16 ECTS), თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (6 ECTS). აღსანიშნავია, რომ პროგრამა თავისი სპეციფიკით აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობებზე, არამედ დიპლომატიის ასპექტზეც, შესაბამისად, სასურველიაპროგრამის ძირითად სავალდებულო სასწავლო კურსებში გაიზარდოს დიპლომატიის წილიც. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტრუქტურით **„საბაკალავრო ნაშრომი“** არჩევით კომპონენტს განეკუთვნება, პროგრამის მიზნების მიხედვით ის ორიენტირებულია: „გამოუმუშაოს კვლევით ნაშრომზე მუშაობის უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად“ სწავლის შედეგების მიხედვით კი, კურსდამთავრებული: „მოიძიებს ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე (ეფექტურად იყენებს მეორე უცხო ენასაც), აყალიბებს დასკვნებს პროფესიისთვის დამახასიათებელი სოციალური და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით. ქმნის კვლევით ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ „საბაკალავრო ნაშრომის“ არჩევითობის პირობებში გართულდება პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევა, რადგან ბაკალავრიატის საფეხურის დონის კვლევითი და ანალიტიკური უნარების გამომუშავებისა და შემდეგ აღნიშნული სწავლის შედეგების გაზომვის ერთ-ერთი ფუნდამენტური საშუალება სწორედ **„საბაკალავრო ნაშრომია“.**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმით და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა, სასწავლო კურსების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა. იმ საგნების გასავლელად, რომლებსაც გააჩნიათ დაშვების წინაპირობა სტუდენტი დაიშვება მხოლოდ პრერეკვიზიტად მითითებულ საგანში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები მეტწილად ერთიან კონტექსტში მოიაზრება. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მათ ლოგიკურ თავსებადობასა და თანმიმდევრობას ეთმობა, რაც მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ამ კუთხით პროგრამის და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ პროგრამაში მოცემული ზოგიერთი სასწავლო კომპონენტები შინაარსობრივად ავლენენ პრერეკვიზიტების მიხედვით თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების აუცილებლობას, ვინაიდან პრერეკვიზიტი არის არა მარტო ლოგიკურად და თანმიმდევრულად დალაგების, არამედ ის სტუდენტისთვის ცოდნის უწყვეტობის და

ათვისების საფუძველს ქმნის. მაგალითად სასწავლო კურსის **კონფლიქტი, მშვიდობა და უსაფრთხოება** რომელიც ისწავლება მე-6 სემესტრში უნდა იყოს წინაპირობა სასწავლო კურსისთვის - **საქართველოში არსებული კონფლიქტების ანალიზი**, რომელიც მე-7 სემესტრში ისწავლება. ასევე სასწავლო კურსი **ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა**, რომელიც მე-7 სემესტრში თემატიკიდან გამომდინარე შეიძლება იყოს წინაპირობა სასწავლო კურსის **კონფლიქტი, მშვიდობა და უსაფრთხოება,** რადაგნ მაში მნიშვნელოვან წილად არის წარმოდგენილი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხები. ასევე მნიშვნელოვანია სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობით ასახვა სასწავლო გეგმის სტრუქტურაში, რომ მიწოდებული მასალის ათვისება სტუდენტისათვის სირთულე არ გახდეს. ამ კუთხით მიზანშეწონილია სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია" გადავიდეს შემდეგ რომელიმე სემესტრში, მაგრამ არა პირველი კურსის, ვინაიდან საკუთრივ სასწავლო კურსის მითითებული სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სწავლის შედეგად ხდება: **„გამოუმუშაოს რეგიონული, საერთაშორისო და გლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირების, ადეკვატურად გააზრების, გაანალიზების, თეორიულ ჩარჩოში მოქცევის და დასკვნების გამოტანის უნარი",** ძნელად მიღწევადი იქნება, რადგან ამ უნარის მიღწევა რომ მოხდეს მას გარკვეული წინაპირობები სჭირდება გარკვეული ცოდნა იგივე მსოფლიო პოლიტიკური ისტორიიდან, სხვა სასწავლო კურსებზე რომ არაფერი ითქვას. ასევე აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებულია **9 ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი** (1.Introduction to Foreign Policy Analysis (English); 2.English composition: expository writing (English); 3.Energy Security and Energy Policy (English); 4.English composition: persuasive writing (English); 5.US Economic System (English); 6.Practice of International Organisations in respect of Georgia (English); 7.Socio-Cultural Meaning of the Holocaust (English); 8.Theories of Culture (English); 9.Sociology of City (English), რაც პროგრამის ინტერნაციონალურობისთვისა და დარგის თანამედროვე მიღწევების პროგრამაში ასახვისთვის მისასალმებელია, თუმცა აღნიშნული კურსების დაძლევადობისთვის აუცილებელია, რომ მათ წინაპირობად მინიმუმ განისაზღვროს სასწავლო კურსი **ინგლისური ენა (B2-II).** საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის წარმოდგენილი შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის საფეხურის შესაბამის განათლებას (ბაკალავრიატი) და პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი) შესაბამისობას. გასაუბრებით დადასტურდა რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა);

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- სასწავლო კურსის სილაბუსები

რეკომენდაციები:

- პროგრამის სასწავლის შედეგების უკეთ მიღწევისა და გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია, **„საბაკალავრო ნაშრომი"** გახდეს სავალდებულო კომპონენტი;
- **ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებისთვის** (1.Introduction to Foreign Policy Analysis (English); 2.English composition: expository writing (English); 3.Energy Security and Energy Policy (English); 4.English composition: persuasive writing (English); 5.US Economic System (English); 6.Practice of International Organisations in respect of Georgia (English); 7.Socio-Cultural Meaning of the Holocaust (English); 8.Theories of Culture (English); 9.Sociology of

City (English) წინაპირობად მინიმუმ განისაზღვროს სასწავლო კურსი **ინგლისური ენა (B2-II).**

- სასწავლო კურსი **კონფლიქტი, მშვიდობა და უსაფრთხოება** განისაზღვროს სასწავლო კურსის **საქართველოში არსებული კონფლიქტების ანალიზის** წინაპირობად;
- სასწავლო კურსი **ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა**, გახდეს სასწავლო კურსის **კონფლიქტი, მშვიდობა და უსაფრთხოების** წინაპირობა.
- სასწავლო კურსი **საერთაშორისო ურთიერთობების თეორია** გადავიდეს მე-2 სემესტრის შემდგომ რომელიმე სემესტრში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია,პროგრამის ძირითად სავალდებულო სასწავლო კურსებში გაიზარდოს დიპლომატიის წილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის, პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლამ და წარმოდგენილმა კურიკულუმის რუკამ აჩვენა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსები მეტწილად უზრუნველყოფენ მითითებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტებისათვის ცოდნის და უნარების მიმართულებით. საკუთრივ პროგრამის შედეგებში კონკრეტულად ჩანს თუ დარგის რა ფართო ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. კურიკულუმის და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ, ისევე როგორც გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურსების საკრედიტო მოცულობა უზრუნველყოფს თითოეული კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლებას. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. მათი გადანაწილებისას მხედველობაში მიიღება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში მოსამზადებელი დავალებების მოცულობა და სირთულე, ასევე სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სასწავლო კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურის მოცულობა.

ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.
სილაბუსებში გაწერილი ლიტერატურა, ძირითადად პასუხობს სილაბუსით გაწერილ თემებს, ხოლო სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.
სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ მასში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო კურსების შესწავლამ მასში გამოავლინა ტექნიკური და შინარსობრივი ხარვეზები. ასევე გამოიკვეთა სასწავლო კურსის სილაბუსის დასახელებას და შინაარსს შორის განსხვავებისა და ლიტერატურის მითითების საკითხები.
ზოგიერთ სილაბუსში შეკითხვას ბადებს სილაბუსის სათაურის, კურსის მიზნისა და თემატიკის შესატყვისობა. მაგ. სილაბუსის **„კლასიკური პოლიტიკური თეორიები“** შინაარსი ერთგვარი ჰიბრიდია პოლიტიკური აზრის ისტორიის და პოლიტიკური ფილოსოფიის, სათაურის შესატყვისი თეორიული საკითხები სილაბუსში მკაფიოდ არ გვხვდება. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სათაური შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კურსის შინაარსთან, რადგან პოლიტიკურ აზრის ისტორიის სწავლება მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის. ასევე ითქმის სასწავლო კურსის - **„თანამედროვეობის ისტორიის** “ სილაბუსი, სადაც კურსის სათაური, კურსის მიზანი, სწავლის შედეგი და კურსის თემატიკა ნაკლებად არის თანხვედრაში ერთმანეთთან. სილაბუსში **„თანამედროვე პოლიტიკური თეორიები“** კითხვას ბადებს მითითებული ლიტერატურა - „თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება“, რომელშიც ხაზგასმულია რომ წიგნი სამაგისტრო დონის სწავლებაზეა გათვლილი (გვ.4). ამავე დროს ის ეხება პოლიტიკური მეცნიერების მდგომარეობას და მასში ნაკლებად ჩანს თანამედროვე პოლიტიკური თეორიების რაობა. რეკომენდებული შესაბამისი ლიტერატურის მითითება. ზოგიერთ სასწავლო კურსში დასახვეწია სწავლის შედეგების ფორმულირება. მაგალითად სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში სწავლის შედეგებში მითითებული „**განსაზღვრავს** საჭირო კვლევის მეთოდოლოგიასა და კონკრეტული კვლევის მეთოდებს - პრობლემური სიტუაციის გაანალიზების შესაბამისად, **შეიმუშავებს** საჭირო კვლევის დიზაინს; **დამოუკიდებლად წარმართვას კვლევის პროცესს** - უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, მეთოდოლოგიურიდან დაწყებული, საველე სამუშაოებით დამთავრებული; **აქვს** ორგანიზაციული უნარი, შეუძლია აიღოს კვლევის წარმართვის ინიციატივა - აიღოს პასუხისმგებლობა და კვლევის მეთოდოლოგიაში, დიზაინსა და ტექნიკებში მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებით - წარმართოს სათანადო ემპირიული კვლევა. შესაბამისად, თავისუფლად ადაპტირდება ახალ გარემოსთან“. სწავლის შედეგი აქ სამაგისტრო დონის უნარს ავლენს და შესაბამისად რეკომენდებული სწავლის შედეგების რეფორმულირება საბაკალავრო დონის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლოპროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები

- სასწავლო კურსის „კლასიკური პოლიტიკური თეორიები“ სილაბუსში, რომლის შინაარსი ერთგვარი ჰიბრიდია პოლიტიკური აზრის ისტორიის და პოლიტიკური ფილოსოფიის, სათაური შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან.

- სასწავლო კურსის - „თანამედროვეობის ისტორიის “ სილაბუსში, კურსის სათაური, კურსის მიზანი, სწავლის შედეგი და კურსის თემატიკა თანხვედრაში მოვიდეს ერთმანეთთან.
- სასწავლო კურსის ,,თანამედროვე პოლიტიკური თეორიები“ სილაბუსში საბაკალავრო დონის სწავლების შესაბამისი ლიტერატურის მითითება.
- სასწავლო კურსის ,,კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ სილაბუსში სწავლის შედეგების რეფორმულირება საბაკალავრო დონის შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიში აღნიშნულია, რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზეც, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას უზურუნველყოფს ცალკეულ სასწავლო კურსებში შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდების ინტეგრირებით. კერძოდ, უმარვლეს სასწავლოს კურსებში ინტეგრირებულია ისეთი სწავლება სწავლის მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტებისათვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაზე, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა. მოდელირება, როლური თამაშები, სიტუაციურ ამოცანებს და ა.შ. შესაბამისად, სტუდენტს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე ეძლევა მიღებული ცოდნისა და ათვისებული უნარების პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება, რაც მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურით და მასში მოცემული ზოგიერთი სასწავლო კურსის ერთობლიობით. პროგრამა ასევე, უზრუნველყოფს საბაზისო კვლევითი უნარების განვითარებას. ამ მიმართულებით, პროგრამა მოიცავს შემდეგ სავალდებულო კომპონენტებს: კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, აკადემიური წერა, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ანალიზი, English composition: expository writing (English), თუმცა კვლევის ადეკვატური უნარ-ჩვევების გაღრმავება-განმტკიცებისათვის, მნიშვნელოვანია „საბაკალავრო ნაშრომის“ შესრულება (იხ. კომპონენტი 2,2). როგორც ინტერვიუირებამ აჩვენა, დაწესებულების ადმინისტრაცია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის ახორციელებს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობებს, მათ შორის, საჯარო ლექციები,

დისკუსია/დებატები, სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები და სხვ. პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში პროგრამის ფარგლებში ხდება ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, სტუდენტურ კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება და მხარდაჭერა მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების თუ სხვა საშუალებით, სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება. როგორც თვითშეფასების ანგარიში აღნიშნულია და ეს ინტერვიუირების დროს დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენლებმა საგანმანათლებლო პროგრამა დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით არ ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკის (შეთავაზებულია არჩევითი სახით) და სტუდენტებში აღნიშნული უნარების განვითარება ხდება ზოგიერთი სასწავლო კურსისა და კურიკულუმს მიღმა აქტივობებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – თვითშეფასების ანგარიში; – ინტერვიუს შედეგები; – საბაკალავრო პროგრამა; – საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სტუდენტთა მხარდამჭერი ისეთი მხარდამჭერი სისტემების, როგორიცაა შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის, სტიმულირება; • სასურველი იქნება უფრო მეტი მემორანდუმის გაფორმება და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება ქვეყანაში მოქმედ შესაბამის საჯარო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან პრაქტიკის განსახორციელებლად;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდს როგორებიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და ა.შ., რომლებიც მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა დისკუსია, დებატები, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი, გონებრივი იერიში (Brain Storming), ახსნა-განმარტება, ანალიზი,

თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, წერითი მუშაობის მეთოდი და სხვა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ისინი, ასევე, ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება/მომზადდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა. ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას. მეთოდები ძირითადად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლება-სწავლის
მტკიცებულებები/ინდიკატორები – საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; – საგანმანათლებლო პროგრამა; – ინტერვიუს შედეგები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან; – სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • მისასალმებელია, მრავალფეროვანი სწავლება-სწავლის მეთოდები და თეორიულ სასწავლო კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკული აქტივობები.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, რაც მთავარია გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტების შეფასება ხდება სასემინარო აქტივობებში მონაწილეობით, პრეზენტაციებით, შუალედურით და დასკვნითი გამოცდით. სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე. უნივერსიტეტში არსებობს აპელაციის სისტემა და სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნახოს თავისი ნაწერი ან შესაბამისი კომისიის თანდასწრებით განიხილოს გამოცდის ქულა. სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოირკვა, რომ სტუდენტები უნივერსიტეტში

არსებული შეფასების მექანიზმების შესახებ ფლობენ ინფორმაციას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსებში შეფასების რუბრიკები მოცემულია დანართის სახით, რაც ადასტურებს შეფასების მეთოდების გაზომვადობას. აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებს ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით და რეაგირებს სტუდენტის თხოვნასა და წინადადებაზე. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება დავადგინოთ, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – საგანმანათლებლო პროგრამა; – სასწავლო კურსების სილაბუსები; – აკადემიური მოსწრების ანგარიში; – სასწავლო კურსის შეფასების ფორმების/შეფასების კომპონენტების შეფასების მეთოდების გაზომვის შეფასების კრიტერიუმების ინსტრუქცია https://www.gau.edu.ge/ka/schools/law-school/law-program#student-assessment-system_1 – თვითშეფასების დოკუმენტი; – ინტერვიუს შედეგები; – უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და ანალიზის, ასევე ადგილზე განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, გამოიკვეთა ძირითადი სურათი ამ მიმართულებით. დაწესებულების ბაზაზე, მოქმედებს შიდა კომპლექსური დანიშნულების ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს, ინდივიდუალური პროფილის გამოყენებით, შესაძლებლობა აქვთ კომუნიკაცია დაამყარონ, დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. სტუდენტების ინფორმირებულობისთვის, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, ელექტრონული მიმოწერის საშუალებებს და უნივერსიტეტის ვებგვერდს. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი საჭირო ინფორმაციას იღებს უნივერსიტეტის, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისგან. დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს სტუდენტებთან კონსულტაციებს, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. სტუდენტები კითხვარების საშუალებით აფასებენ გავლილი სასწავლო კურსის სირთულეს, საჭიროებას და ლექტორის ცოდნისა და უნარების შესაბამისობას. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს. სტუდენტებს შეუფერხებელი წვდომა აქვთ სასწავლო კურსის სილაბუსებსა და მასში მითითებულ ლიტერატურაზე. აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ დაწესებულების ეგიდით გამართულ სასწავლო ღონისძიებებში, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, მობილობასა და კონფერენციებში, რაც დადასტურდა ინტერვიუს პროცესში. უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო არსებულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – ინტერვიუს შედეგები; – გაცვლით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; – თვითშეფასების დოკუმენტი;

– უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში ჯამურად ჩართული პერსონალის რაოდენობაა 44, საიდანაც 22 აკადემიური პერსონალია, რომლიდანაც 18-ს ქართულ ამერიკულ უნივერსიტეტთან აქვს აფილირება, ასევე პროგრამაში ჩართულია 3 უცხოელი მოწვეული პერსონალი და 22 ადგილობრივი მოწვეული პერსონალი. შესაბამისად აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა 22/22 და აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალისა და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა თანაფარდობა 44/80 უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. შესაბამისად, პროგრამის ფუნქციონირებაში აქტიურად არის ჩართული მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რაც შესაბამისად ხაზს უსვავს იმ ფაქტს, რომ მათი შემდგომი პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვის პირობებში, იძლევა აღნიშნული მიმართულების კიდევ უფრო მეტი განვითარების შესაძლებლობებს. ასევე, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები 18, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები 32, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები 14, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები 38, ხოლო სხვა სახის სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი 90. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით, რაც დასტურდება მათი

პირადი საქმეებით. ასევე აღსანიშნავია, რომ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დამატებით იქნება გამოთხოვილი პერსონალის დატვირთვის სქემა. როგორც გაირკვა, პროგრამას გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, თუმცა აღნიშნულ სქემაში გათვალისწინებული არ არის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული, რაც **რეკომენდებულია,** რომ ყოველ სემესტრულად განახლებად დატვირთვის სქემაში აისახოს.

პროგრამის სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

დოკუმენტაციის გაცნობისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება როგორც სფეროს შესაბამისი განათლებით, ასევე პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელები მონაწილეობს პროგრამის განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში, თუმცა ინტერვიუს დროს გარკვეული კითხვები გაჩდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის განსაზღვრაში პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობის კუთხით (იხ. კომპონენტი 5.1).

ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებას დადასტურდა, რომ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქციები და პირადი საქმეები;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველ სემესტრულ დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია პერსონალის დატვირთვის შესახებ ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
➢

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოთხოვილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად და ჩატარებული ინტერვიუების შემდეგ დგინდება, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის შეფასებას. შეფასების მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის თანამშრომლებს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში, მოახდინოს ინდივიდუალური და საუნივერსიტეტო მიზნებისა და ამოცანების თანხვედრა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაოს შეფასების სამიზნე ნიშნულებია: განსაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერომოწვეული პერსონალის მიერ სწავლებისა და კვლევის პროცესში დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები; დროულად მოახდინოს პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირება პერსონალის მიერ პროფესიული მიზნების განხორციელების პროცესში და განსაზღვროს მათი მოგვარების სტრატეგიები; შეაფასოს უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობა სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში; შეაფასოს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა; გამოავლინოს პერსონალის შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ განვითარებას; მოახდინოს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება და სხვა.

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება კვლევის შედეგების გამოქვეყნებით და პროფესიულ წრეებში მათი გავრცელებითა და დანერგვით, ასევე კვლევის განვითარებისთვის საჭირო რესურსების მოძიება/მოპოვების შედეგების მიხედვით ხორციელდება, ამ დროს მხედველობაში მიიღება სხვადასხვა დარგის ბუნება. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, დეკანის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნეს დროებითი პროფესიული შეფასების კომისია, რომლის შემადგენლობაშიც თანამდებობის მიხედვით შევლენ: დეკანი, სკოლაში მოქმედი ყველა კვლევითი ცენტრის/ინსტიტუტის დირექტორი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. კომისიის შემადგენლობაში ასევე შეიძლება გათვალისწინებული იქნეს დარგის აღიარებული სპეციალისტი/სპეციალისტები. უნივერსიტეტის მართვასა და ინსტიტუციურ განვითარებაში პერსონალის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების და მისი აღსრულების პროცესში, შეტანილი წვლილი უნივერსიტეტის განვითარებაში. პროგრამის განვითარებაში აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პერსონალის შეფასების შედეგები. სოციალურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში

მონაწილეობის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება პროფესიის, ზოგადად ქვეყნის განვითარებაში შეტანილი წვლილი და უნივერსიტეტის საქმიანობის ხილვადობის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. უნივერსიტეტი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სთავაზობს გარკვეული სახის პროფესიული განვითარების მხარდამჭერ სისტემებს - როგორიცაა ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის კუთხით, პუბლიკაციების გამოქვეყნება საუნივერსიტეტო გამოცემებში და ა.შ. თუმცა საჭიროა უფრო მეტი ხელშეწყობა ადმინისტრაციის მხრიდან, როგორიცაა მთარგმნელობითი საქმიანობის მხარდაჭერისა და სახელმძღვანელოებზე მუშაობის წახალისების თვალსაზრისით. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი ახდენს საკუთარ პერსონალის როგორც პროფესიულ განვითარებას, ასევე სამეცნიერო/კვლევითი აქტივობების სტიმულირებას (კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა, ნაშრომების ბეჭდვა), თუმცა პროგრამაში ჩართული პერსონალი სამეცნიერო აქტივობის თვალსაზრისით საჭიროებს კიდევ უფრო გააქტიურებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; – პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მისი ანალიზი; – დასრულებული და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური პროექტების შედეგების შეფასების დოკუმენტი; – პერსონალის პირადი საქმეები; – ინტერვიუს შედეგები; – თვითშეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებში პერსონალის კიდევ უფრო აქტიურად ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, შესაბამისი მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. ბიბლიოთეკაში განთავსებული და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა, უნივერსიტეტში მოქმედებს GSS კოდექსი და ჩართულია თანამედროვე წამყვან სამეცნიერო ბაზებში.

პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, შესაბამისი მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. ბიბლიოთეკაში განთავსებული და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა, უნივერსიტეტში მოქმედებს GSS კოდექსი და ჩართულია თანამედროვე წამყვან სამეცნიერო ბაზებში.

აკრედიტაციის პროცესში ჩართულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან ბიბლიოთეკაში არსებული რესურსებისა და მათი გამოყენების წესების შესახებ.

ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი სფეროს უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, აღსანიშნავია, რომ ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს აქვს წვდომა Elsevier, Scopus, e-Duke Journals Scholarly Collection და სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე.

ასევე, მისასალმებელია ის სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა აიღო დისტანციურ რეჟიმში სტუდენტების დახმარებისა და მათი მხარდაჭერის კუთხით, რომლის ფარგლებშიც მოხდა შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტებში ელექტრონულ მხარდამჭერ რესურსებსა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს გადამოწმდა და დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის როგორც უსდ-ში, ასევე დისტანციური სერვისების გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ ბიბლიოთეკართან;
- სამეცნიერო ბაზების კატალოგი;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

- მისასალმებელია ის სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა აიღო დისტანციურ რეჟიმში სტუდენტების დახმარებისა და მათი მხარდაჭერის კუთხით, რომლის ფარგლებშიც მოხდა შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტებში ელექტრონულ მხარდამჭერ რესურსებსა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებსა და მოთხოვნებს, რაც გარკვეულწილად დადასტურდა ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შემდგომ, თუმცა სასურველია, რომ „საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდეს უშუალოდ პროგრამული დონის ბიუჯეტი, რათა შემცირებული სტუდენტური კონტინგენტის პირობებში პროგრამის ფინანსური მდგრადობა მეტად თვალსაჩინო გახდეს. სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის ბიუჯეტში მოცემულია ინფორმაცია გრანტების, ხელფასების შესახებ, ასევე კვლევითი და ინტერნაციონალიზაციის ხარჯები, აგრეთვე სტუდენტთა სტიპენდიებისა და ექსტრაკურიკულუმს მიღმა აქტივობების ხარჯები და სხვა საჭირო მონაცემები, რაც არწმუნებს ექსპერტთა ჯგუფს, რომ სკოლის ფინანსური მდგრადობა საბაკალავრო პროგრამის ფინანსურ მდგრადობასაც უზრუნველყოფს
მტკიცებულებები/ინდიკატორები – სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის ბიუჯეტი; – თვითშეფასების დოკუმენტი; – ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, „საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდეს უშუალოდ პროგრამული დონის ბიუჯეტი, რათა შემცირებული სტუდენტური კონტინგენტის პირობებში პროგრამის ფინანსური მდგრადობა მეტად თვალსაჩინო გახდეს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება არა მარტო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებსა და ნორმატიულ აქტებს, არამედ უმაღლესი განათლების სივრცეში არსებულ ქართულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო გამოცდილებას. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთი ორგანო, რომელიც გეგმავს და მონაწილეობას იღებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო და კვლევითი პროცესების, ისე საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებაში. სამსახურის დებულების თანახმად, საქმიანობის ძირითადი სფეროები მოიცავს: საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობას და ამ მიზნით, უმაღლესი აკადემიური პროგრამების აშშ-ს და დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგ პროგრამებთან შედარებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას; სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობას, რისთვისაც ახდენს აღნიშნული საქმიანობებისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას; სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში სტუდენტთა ჩართულობის, მათი უფლებების დაცვისა და განვითარების შესაძლებლობების ხელშეწყობას; ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზებას და სხვ. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, კერძოდ კი, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ხარისხის შეფასების პროცედურები და მექანიზმები აღწერილია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის

დოკუმენტსა და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. აღნიშნული დოკუმენტების თანახმად უნივერსიტეტი ორიენტირებულია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი, დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განვითარება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც წარმოადგენს გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობით პროცესს პროგრამის შემუშავება-შეფასება-განვითარებაში ჩართულ ყველა აქტორს შორის.

შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების თანახმად უნივერსიტეტში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი სისტემა PDCA ციკლის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებასა და განვითარებას. ხოლო, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობა ძირითადად უზრუნველყოფილია სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვებით.

თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით იკვეთება, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განახლების პროცესში აქტიურად იყო ჩართული თვითშეფასების ჯგუფი, რომლის წარმომადგენლობაც მოიცავდა ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტსა და დამსაქმებელს. თვითშეფასების ჯგუფმა განახორციელა რამდენიმე შეხვედრა, რომელთა ფარგლებში განიხილეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, თვითშეფასების ანგარიშის შედგენისთვის საჭირო მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების საკითხები და სხვ. ასევე, წარმოდგენილი ოქმებით ირკვევა, რომ ჯგუფმა შემუშავებული პროგრამა წარუდგინა პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს მათი უკუკავშირის მიღების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრებისას არ დაფიქსირდა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში მათი აქტიური ჩართულობა. სახელდობრ, სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადასტურებენ ზოგადი საუნივერსიტეტო გამოკითხვების არსებობას (მაგ, სემესტრული გამოკითხვა, კმაყოფილების კვლევა) და მათში მეტ-ნაკლებ მონაწილეობას, მაგრამ მათი მხრიდან არ დადასტურდა უშუალოდ წარმოდგენილი პროგრამის მოდიფიცირების პროცესში აქტიური მონაწილეობა. უფრო კონკრეტულად კი, ვერ გაიხსენეს შესაბამისი გამოკითხვა ან სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა, სადაც დეტალურად მოხდა პროგრამის შინაარსისა და მათი მოსაზრებების განხილვა.

ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნება შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდნენ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა აქტიურ ჩართულობას პროგრამის მოდიფიცირების პროცესში, რის პასუხადაც წარმოდგენილ იქნა უნივერსიტეტის სტუდენტთა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში; საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვების შედეგები და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმები. უნდა აღნიშნოს, რომ კმაყოფილების კვლევის ანგარიში ასახავს საუნივერსიტეტო საზოგადოების (ამ კონკრეტულ შემთხვევაში სტუდენტები, მოწვეული და აკადემიური პერსონალი), უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ზოგად კმაყოფილებას საუნივერსიტეტო სერვისებთან, მატერიალურ ბაზასთან, ელექტრონულ, საბიბლიოთეკო და ადამიანურ რესურსებთან მიმართებით და ნაკლებად ასახავს თითოეული პროგრამის, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკასა და განვითარების საჭიროებებს. სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვა აჩვენებს სასწავლო და საგამოცდო პროცესების, ლექტორისა და კურსის შინაარსის შეფასების მონაცემებს, მაგრამ არ არის წარმოდგენილი

შესაბამისი ანალიზი და ანალიზის შედეგად პროგრამის სასწავლო კურსებში განხორციელებული ცვლილებები (საჭიროების შემთხვევაში). სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართულობას ადასტურებს 2021 წლის 9 მარტის შეხვედრის ოქმი, თუმცაღა გასაუბრებაზე წარმოდგენილ რესპონდენტთა მხრიდან აღნიშნული შეხვედრის შესახებ ინფორმირებულობა არ დადასტურდა. სასურველია, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ეფექტიანი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში.

მართალია, თვითშეფასების ანგარიში, თანდართული დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართული იყო როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მაგრამ ამ უკანასკნელთა შემთხვევაში არ დადასტურდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობა. პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ბუნდოვნად იცნობს პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმებს. მეტიც, გასაუბრებამ ცხადყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არ იღებდა აქტიურ მონაწილეობას სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავების პროცესში. შესაბამის კითხვებზე მისი მხრიდან პასუხის ადრესატად დასახელებული იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ინტერვიუების შედეგად ასევე დადგინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალიც ნაკლებად იცნობს პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებს. რეკომენდებულია, აღნიშნული მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა, ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები თუ სამუშაო შეხვედრები განმახორციელებელი პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით პროგრამის შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით, რადგან ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ პროგრამის პერსონალმა აუცილებელია იცოდეს ერთი მხრივ, როგორ და რა პერიოდულობით ხორციელდება პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების შეფასება, ხოლო მეორე მხრივ, თუ მის სასწავლო კურსს (განსაკუთრებით, სავალდებულო კურსების შემთხვევაში) რა წილი დატვირთვა/ვალდებულება აქვს პროგრამის სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმები;
- საუნივერსიტეტო გამოკითხვები და შესაბამისი ანგარიშები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის განხორციელებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. აღნიშნული მიმართულებით ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ეფექტიანი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამა იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებს, როგორიცაა: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები, შესაბამისი პროცესები და ამ პროცესთა ფარგლებში მიღებული ექსპერტთა რეკომენდაციები და რჩევები. ასევე, პროგრამა გარე შეფასების მიზნით გადაეგზავნა გარე შემფასებელს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით პროგრამასა და განახლებულ სააკრედიტაციო პაკეტში შევიდა შემდეგი ცვლილებები: შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; განისაზღვრა პროგრამის სამიზნე ნიშნულები; შემუშავდა სასწავლო კურსების შეფასების ფორმების/კომპონენტების გაზომვის შეფასების კრიტერიუმების ინსტრუქცია; დაიხვეწა და შეიცვალა პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი პროგრამა გარე შეფასების მიზნით გაეგზავნა გარე შემფასებელს. შემფასებლის მიერ პროგრამა, მისი შინაარსი და სტრუქტურა, ისევე როგორც განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიციურობა შეფასდა დადებითად. გარე შემფასებლის მიერ მოსაზრება გამოითქვა პროგრამის სავალდებულო კომპონენტის რეგულირებასთან დაკავშირებით, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების არა საწყის, არამედ მომდევნო სემესტრებში გადატანასთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული თეორიების სრულყოფილი გააზრება შედარებით ძნელად ხდება სწავლების პირველ ეტაპზე. აღნიშნული რეკომენდაცია პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული. ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია წინამდებარე რეკომენდაციის გათვალისწინება პროგრამის სტრუქტურის სრულყოფისა და მისი ათვისების ეფექტიანობის ზრდის მიზნით. დაწვრილებით ექსპერტთა მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით იხილეთ 2.2. კომპონენტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები; – საგანმანათლებლო პროგრამა; – გარე შემფასებლის დასკვნა; – ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება დაინტერესებული მხარეების მეტწილი ჩართულობით. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება, სასწავლო და კვლევითი პროცესის, ადამიანური რესურსის, მატერიალური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსების, სტუდენტთა და პერსონალის მხარდამჭერი სერვისების შეფასება სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების მონაწილეობით. თვითშეფასების ანგარიშისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით დაწესებულება ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას, იყენებს როგორც პროგრამის შეფასების პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს, მათ შორის: ● პროგრამის შედარება და ანალიზი როგორც ადგილობრივ, ისე აშშ-ს და დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან; ● პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება; ● სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებია და ფოკუს-ჯგუფების შედეგები; ● სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები; ● პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციების შედეგები; ● სასწავლო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგის შედეგები; ● საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის შედეგები; ● უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ 3 წელიწადში ერთხელ განხორციელებული პროგრამის შეფასების შედეგები. წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პირველ ეტაპზე განხორციელდა შრომის ბაზრის შესწავლა, მაგრამ წარმოდგენილი კვლევა ასახავს 2017, 2018, 2019 წლებში შრომის ბზარის ზოგად მდგომარეობას, დასაქმების ძირითად

ტენდენციებს და ამ მიზნით მიმოიხილავს hr.com.ge-სა და hr.gov.ge-ზე გამოქვეყნებულ ვაკანსიებს უნივერსიტეტში არსებულ პროგრამებთან მიმართებით. კვლევაში ნაკლებად ჩანს საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის პროგრამასთან და კურსდამთავრებულების კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ სააკრედიტაციო ვიზიტისას გამოთხოვილ იქნა პროგრამის ანალოგ ქართულ და უცხოურ პროგრამებთან შედარების ანალიზი, ისევე როგორც პროგრამის წლიური თვითშეფასებისა და 3 წელიწადში ერთხელ სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში, თუმცაღა მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არ იქნა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას კი, განსხვავებით აკადემიური პერსონალისგან, ირკვევა, რომ აღნიშნული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა დაწესებულებაში დანერგილია. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმების, პროცედურებისა და აღნიშნული ღონისძიებებით განხორციელებული შედეგების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საუნივერსიტეტო პროგრამების, მათ შორის, წარმოდგენილი პროგრამის შეფასების მიზნით 2019-2020 წლებში განხორციელებულია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლების გამოკითხვა და სასწავლო პროცესის შეფასება. გამოკითხვების შედეგებით გამოიკვეთა, რომ Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში სტუდენტების მიერ დაფიქსირდა სწავლებისა და შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნების აუცილებლობა. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა რეკომენდაციების პაკეტიც, რომელიც მოიცავდა როგორც ელექტრონული სწავლებისას გამოყენებული შეფასებისა და სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნებას, ისე აქტიური პრაქტიკული კომპონენტის კრედიტის მოცულობის გაზრდას.

დამატებით, 2019-2020 სასწავლო წელს უნივერსიტეტში განხორციელდა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და მოხდა მათი შესაბამისობის დადგენა გაუსის შკალასთან. ანალიზის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები მიეწოდა პროგრამის სამუშაო ჯგუფს შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსები;
- კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, უნდა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმების (განსაკუთრებით, შრომის ბაზრის კვლევისა და უცხოური ანალოგიური პროგრამების დადარების შედეგების პროგრამის განვითარების

პროცესში ასახვის საკითხი), პროცედურებისა და აღნიშნული ღონისძიებებით განხორციელებული შედეგების გამოყენებასთან დაკავშირებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო საგანმანატლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა: ირაკლი მანველიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ეკა დარბაიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქრისტინე ჩიხლაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა გიგი გიოშვილი